ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 158. კვირა, 14 ნოემბერი 1910 წ. დამატების № 27




† ლევ ტოლსტოი (1828—1910)



მაცდური. — სურათი მაიგნანისა.

# ლანდია

დრამატიული თხზულება ოთხ ნაწილად.

(დასასრული *)

## მეოთხე ნაწილი

თვალწინ არის იგივე ოთახი, სულ ყველაფერი დაძველებულა, დახავსებულა, დაჭმონებია დროთ-ბრუნვის ძალას. თითქოს განგებად სიცოცხლის ნიშნათ არ დარჩენილა იქ არაფერი, რაც კაცის გულში აღძრავდეს წყურვილს სიყვარულის და მოქმედებისას.

თითქოს ყოველ-მხრივ მთელის ძალ-ღონით აქ გადეარის კორიანტელსა, სულ ყველაფერი, ვით დამარხული, ქვეშ მოჭყოლია ჭუჭყსა და მტვერსა.

იქავე, სტოლზე სძინავს ლანდიას. სულ გამოცვლილა თავით ფეხამდის და თავის ოთახს დამსგავსებია. შუახნის კაცი ისე ჭკონია ღრმა სიბერეში იმყოფებოდეს და ცხოვრების ტვირთ-მძიმეობით დასუსტებული ძირს იხრებოდეს.

მას თავზე თითქოს ტანჯვის გვირგვინად] თეთრი ჭაღარა გადაჭკენტია და გულს ჩასძახის; დროა, რომ მოკვდე, რასაც იცოცხლებ ეხლა—მეტია!

მის გვერდითავე ძირს იატაკზე მარმარილოს ქვა ჭურია ნაჭრებად; ეს ის შრომაა, მას რომ სწყუროდა გადაექცია თვის უკვდავ ძეგლად.

იქავე ტახტზედ ჭურია ძონძები თითქოს რაღაცის მომასწავებლად და სტოლზედ ჭურიან რაღაც ბარათნი თითქოს რაღაცის მოსაგონებლად. თვალთ შესამჩნევლათ.

ლანდიასთან ტახტის პირზე ჩამომჯდარა მეგობარიც, სულ გამხმარა, ძვლად ქცეულა, მოერევა თითქოს ქარიც.

დაღვრემილსა, თავჩაქინდვრით ჩასთვლემია საცოდავად, თითქოს ყველა, მტვრად ქცეულა რაც უყვარდა ამ ქვეყანად.

ლანდია კი სჩანს ტკბილ ძილით ისე სთვრება როგორც ბავშვი და სიზმრებიც საამურნი მოევლინენ უცხო ქვეყნით; თითქოს უნდა აგრძნობინონ ნეტარება თავიანთ ფრენით.

* იხ. სურათებიანი დამატება № 25.

უცნაური არსებანი თვალსა სჭრიან თვის სიტურფით, თითქოს უცხოდ შეთხზული ბადრი მთვარის ნაზი შუქით და სიცოცხლე ჩაჭნერგვიათ სხივებ-უხვი დაშლაშა მზით.

ლანდის გარს დაჭქრიალაგენ ვით ნიავნი ცით მქროლავნი, ნეტარებას გარსა ჭფენენ ეს ოცნების არსებანი.

ამათ შორის თვისთან ერთად ხედავს ტურფას მწვანე გელზე, ტკბილ ჭანგივით ჩასჩურჩულებ, მოჭხვევის გრძნობით ყელზე.

**ტურფა.** ღმერთო, ღმერთო ვით გამოვსთქვა ჩემი გულისჭნეტარება!.. ის არც მზეა, არც—ცამოთხე, არც გაზაფხულს ედარება: უფრო ათბობს, უფრო ჰყვავის; გაზაფხულზეც ლამაზია, თვით ლოცვა და ვედრებაზედ ბევრით უფრო ის ნაზია.



სოლვიჩეგოდსკში გადასახლებული პოეტი
ი. ევდოშვილი.

მოგეხვევი როგორც ვაზი, გულს ჩაგეკვრი ნეტარებით;
მე ვიღელვებ შენის გრძნობით, შენ დაგატკბობ ჩემის შვებით.

**ლანდია.** შენც ვარდი ხარ! არა, ვარდზე უფრო ტკბილად საყნოსავი. ნაზ გრძნობათა სურნელებათ გარშემო ჰფენ ნეტარებით; ტრფობის ცეცხლით აღგზნებულნი ორთავენი ვთბებით, ვსტკბებით...

ღმერთო, ღმერთო, ჩვენ სიყვარულს გთხოვ ჰფარავდე მაღლა ზეცით.

**ტურფა.** ამბობენ, რომ სიყვარული ჩქარა სჭკნება ვარდივითო, შემდეგ მისი მოგონება გულში რჩება დარდივითო. არა მჯერა, ვერ ვიწამებ ამ თქმულებას მე სიმართლედ. შენ რას იტყვი ჩემო მზეო! ნუ დაჰფარავ, მითხარ სწორედ.

**ლანდია.** ყველაფერი ამ ქვეყანად სასიკვდილოდ გაჩენილა, მხოლოდ ერთი სიყვარული უკვდავებად დარჩენილა.

**ტურფა.** მადლობის ნაცვლად მიუძღვნის კოცნას, მასში კამოსთქვამს თვის ძლიერ გრძნობას.

**ლანდია.** სიცოცხლეც შენთან! სიკვდილიც შენთან! ჩემთვის ორივე სანატრელია. უშენოდ ჩემთვის დღეც კი ბნელია, შენთან კი—ღამეც, მწამს ნათელია.

მე შენს ხვევნაში ვიგრძნობ მზის—სითბოს, ღვთაებრივ ძალით განვიმსჭვალები, შემოქმედების ცეცხლით აღვიგზნი, რა შემომხედვენ შენი თვალები.

მზე გზას გაგვიკვლევს ბნელ ცხოვრებაში, მთვარე კი შვებად მოგვევლინება. ოდეს მოვკვდები, იმათი შუქი საფლავზე ცრემლად დაგვედინება.

სიყვარული მზის შვილია, იმასავით ნათელ-თბილი, იგი მთავარის ერთგულია, იმის შუქზე ნაზად ზრდილი არ გასწირავს მას არც-ერთი ამ უღაბნო ქვეყანაში, არ გაჰქრება მათი მადლი ამ ქვეყნიურ ჩვენ ტრფობაში...

კუთხეში ვიღაც შავით მოცული მწარე დაცინვით დაიწყებს ხარხარს. თავის საზარო ხმაში ჩააქრობს ლანდის ტრფობით შორს გატაცებას.

ლანდია უცებ გამოფხიზლდება და წამოდგება გაოცებული, მისი სიზმარიც იმწამსვე ჭქრება და მწარე კვნესა გულდ ამოხდება.

**ლანდია.** სიზმარია, სიზმარია ყოველგვარი სიხარული! შორეული ოცნებაა სანეტარო სიყვარული.

ერთი მწარე გაცინებაც შორსა ჰკარგავს ამ ტკბილ სიზმრებს და სატანჯავ-საკვნესებლად წინ გვიყენებს სინამდვილეს...

დაჭხედავს ძონძებს და დაცინვით ჩაიხარხარებს.

მხოლოდ ერთი სიყვარული უკვდავებად დარჩენილა!
აი, ჩემი სიყვარული მხოლოდ მჩვრებად დარჩენილა
და გულში კი მის სახსოვრად ისმის მხოლოდ მწარე კვნესა.

**მეგობარი.** საცოდავად იყურება აქეთ იქით.

როგორ გაჰქრა ყველაფერი, რასაც გულით უმღერიდი.
აწ ცხოვრებას სილატაკეს ვერ ამდიდრებს ვერც იმედი.

**ლანდია.** იმედი! იმედი! ოჰ, რათა ჰყვავის ყველას გულში ეგრე ძლიერად.

რომ შემძლებოდა, მაგ სიყალბეს მოვსპობდი ქვეყნად, თუნდ იმის ნაცვლად მტრობა და შურს დაესადგურა.

თითქოს შორს ჰხედავს მის წყალობით ადამიანი, იქ ეჩვენება მას ცხოვრება ნათელ-მზიანი, მაგრამ სტყუვდება საცოდავი, მარად სტყუვდება და იქ, შორს მცქერი ამ ქვეყნად მარად ბრმად რჩება.

ჰეი, ოცნებავ, ტკბილო იმედო! სად არის ჩემი შემონაქმედი! მე თქვენ მოგენდეთ, თქვენ მოგაბარეთ ჩემი დიდება, ჩემი სახელი! არ დამიზოგავს თქვენ მისაწდომად, რაც კი გამაჩნდა შრომა და ძალი, მაგრამ გაჰქერით უგზო-უკვალოდ და მით მომისპეთ მეც მომავალი.

ხელში აიღებს მარმარილოს ნამტვრევებს.

ეს არის ჩემი შემოქმედება?—როგორ წაიგავს ჩემსა სიცოცხლეს.—როს მთელი იყო, არ ჰგავდა რამეს, ეხლა კი სულ მთლად არაფერია.

ნუ თუ ამისთვის ვიტანჯებოდი, რომ არაფერი მჭეროდა ხელში? — სიცოცხლეშივე მე მტვრად მექცევა ჩემი დიდება და ჩემი ძეგლი.

მითხარ, ცივო ქვავ! შენში იყო ჩემი იმედი და შენთან ერთად ის დაიმსხვრა სამარადისოდ, თუ თვით შენ იყავ ტკბილ იმედში და მასთან ერთად შენც იქეცი ხილულ სიფუჭედ?

მაგრამ რას ვამბობ! სდუმს საზარლად თვით ყოვლის შემძლე და შენ ცივი ქვა მე რას მეტყვი რას მიპასუხებ?

**მეგობარი.** რაღაზედ სწვალობ? შენი სიცოცხლეც დამსხვრეულია, გათავებული, როგორც ეგ შენი შემონაქმედი ნაკუწ-ნაკუწად გადაქცეული.

**ლანდია.** გადაჭყურის ნაჭრებს ხელიდან.

ჩემი სიცოცხლეც ღირსი არას ეგრე გატყორცნის! დამსხვრეულია, უვარგისი, გათავებული...

დაჯდება სტოლთან, თვალს მოავლებს იქ ძველ ბარათებს და ხელ წაავლებს, თან დაცინვით ზედ დაჭხარხარებს.

ესეც სამშობლოს სამსახურია! ამით ვფიქრობდი მის აყვავებას. ვაჰ, იმ დიადი განზრახვისაგან, მხოლოდ ეს შერჩა ხელში საბრალოს. ხუთი ბარათი, ხუთი თუმნისა! სამშობლოსთვის ცდა მხოლოდ ეს არის!..

ჰეი, მეგობარო! ეხლაც დამიწყე არარაობის ჰანგით ბაასი! იქნება მასში გიპოვო შვება, მასში ჩავაქრო სასოწარკვეთა, აღარ იკვნესოს გულმა ეულად, თუ ყველგან მეფობს ამაყობა...

**მეგობარი.** უსამზღვროა ქვეყნის კიდე, მიუწდომი— მისი აზრი. ოდეს ვიყავ შორს მხედველი, ვერ ვხედავდი მათ მაშინაც და ეხლა რომ სულ დავბერდი, ახლოც ძლივას მიჭრის თვალი.

**ლანდია.** დამანახვე უაზრობა სამყაროს ქმნისა, რომ მასში ჩაჰქრეს უაზროდვე ჩემ გულის კვნესა!

დამანახვე ქვეყნის მეფე წყვდიადი, ბნელი, რომ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიაღში ჩაიღუპოს სამარადისოდ ჩემი წყურვილი, მისწრაფება სინათლისადმი!

**მეგობარი.** თუ რა იყო სიცოცხლის წინ—სიბნელის მეტს ვერას ვხედავ; რა იქნება იმის შემდეგ, იქაც მხოლოდ წყვდიადს ვხედავ.

ამ უსაზღვრო სიბნელეში თვალ-ხილულიც ვერ ვხედავდი, ეხლა რაღას დავინახავ! დავსუსტდი და დავბრმავდი.

ერთს კი გეტყვი, დამიჯერე, სიმართლეზე ეს ხოლოა! ყველა ჰკვდება, რაც დროებას უსუსურად ემონება! უკვდავია იქნებ მხოლოდ წმიდა გულის წმიდა რწმენა.

**ლანდია.** მანდა მწამდეს, მაგრამ რა ვქნა, მეც არ ვიცი რა ვიწამო! რაა ქვეყნის ზემპყრობელი, სიცუქე თუ უკვდავობა!

ერთ-ერთია ყოვლის შემძლე, უკვდავ-მქნელი ან მომსპობი, მე კი სწორედ ვერც ერთს ვხედავ, ამრევია გზა და კვალი.

ვისი გულიც კი განიმსჭვალება ამაოების ან უკვდავების დიადი რწმენით, მისი სიცოცხლე მაშინ ამ ქვეყნად სწორედ მეტია და მეც მეტად ვგრძნობ ჩემ სიცოცხლეს, სიკვდილს ვუწოდებ; მაგრამ მწყურია, რომ შავ სიკვდილს მე რწმენით შევხვდე, მხოლოდ რა რწმენით, ეს შენ მამცნე ყოვლის შემძლეო!

ჩემი გონება, მეგობარი ველარას ჰხედავს, მაგრამ მაინც მწამს წმიდა გულით მარადისობავ!

იმედ მოკლული და ოცნება გაცრუებული შენთან მოვილტვი შენს წიაღში, მარადისობავ!

შენში ვეძიებ ნეტარებას, უკვდავ სიმშვიდეს, შენთან არ ვიგლოვ ამ ქვეყნიურ წუთიერ ტანჯვას.

აიღებს ჭიქას საწამლავით.

**მეგობარი.** ხომ საბოლოვოდ გადასწყვიტე მაგით ხსნის პოვნა?

**ლანდია.** საბოლოვოდ.

აღარ არის ამ ჩემ გულში ეჭვის ნისლი საუკუნო შვებას შევსვავ ამ ფიალით მწამს და ვიცი.

რა მოიწამლავს ჭიქას, იმის გარშემო გაჩნდებიან სხვა და სხვა ხმებად მოგლენილი არსებანი.

**სხვა და სხვა ხმები.** — ჩქარა დალიე, რაღას უყურებ.

— არ დალიო, არ გაგიჟდე?

— სუსტი ყოფილხარ? შენ მშიშარა ხარ!

— კარგად დაფიქრდი! შემდეგ ინანებ!

**მეგობარი.** იქნება მართალს გეუბნევიან, აბა დაფიქრდი.

**ლანდია.** მთელი ძალ-ღონით შესაზარად შეჰყვირებს ყველას.

ჩაჰკმინდეთ ხმანი! აღარა მსურს თქვენ გიგდოთ ყური. ჩემი ბატონი მხოლოდ ერთი ჩემი გულია, ჩემი მრჩეველი, ხელმძღვანელი მხოლოდ იგია.

ყველა ხმანი წამსვე ჰქრებიან და მორჩილებით მეგობარიც წყდში იხრება.

მშვიდობით ფუჭო, წარმავალო, მოკლე ცხოვრებავ! მშვიდობით ტანჯვავ მანდ განცდილო გულისა მღრღნელო, ყალბო იმედო და ოცნებავ, შორს გაფრენილო!

ჰოი, უკვდავო მარადისობავ, შენ გიძღვნი სალამს შენ სადიდებლად და ჩემ შვებად ვსცლი ამ ფიალას.

გადაჰკრავს ერთბაშად, დინჯად დაჯდება მაგიდასთან აღელვებული; მიეყუდება სკამის ზურგზე გაწუმებული. თავს მაღლა ასწევს, თითქოს ღმერთს ებაასებოდეს. სწანს საწამლავი ელვასავით მოედო ტანში, ზოგჯერ აჟრჟოლებს და ბურუსიც ედება თავში, თავის სიცოცხლის სურათები თვალწინ დაუდგნენ, რაც მის ხსოვნაში ნეტარებით აღბეჭდილიყვნენ:

მრავალი მზენი ფერად სხივებით ამკობდენ არეს და აღვიძებდენ სანეტაროდ უნაზეს გრძნობებს.

ნორჩ მინდორ-ველში წარმოუდგა თვის სიყმაწვილე, უმანკო გულით ჰხარხარობდა ჩირგვებზე მხტომი, იმღერდა ყველას დანახვაზე გახარებული და ნეტარებით აღუვსოდა უმანკო გული.

აგერ ის მდელო სადაც პირველად იხილა ტურფა; წყაროც ისევ სჩქებს, მთებიც ისევ მწვანით მოსილან, ჩიტებიც ისევ ჟღმურტულობენ, ხტიან ხეებზე, ცაც მოწმენდილა, შორს წასულა იმისი კიდე.

კვლავ განიცადა ტრფობის ცეცხლი როგორ დაენთო, მის იდუმალი ტკბილი ხმანი როგორ ამღერდენ უცხო გრძნობანი გულს ნექტარად ვით ჩაეწვეთენ და დაგიწყებით ვით მიეცა საამო ღელვას.

სამშობლოს სახეც წინ დაუდგა მას ტკბილ ოცნებით, დიდ იმედით რომ შესცქეროდა იმის მომავალს.

თითქოს სულ გაჰქრა, რაც ქვეყანად ენახა ტანჯვა. თვით გულის კვნესაც ნეტარებად მას გადაექცა. ხედავდა მხოლოდ მზისა სხივებს, ნათლის მომნიჭეთ, გვლდთა სიტურფეს, ყვავილთ ფურჩქვნას, მთათა მშვენებას. ისმენდა მხოლოდ სატრფოს სიტყვებს მის გულის ღელვას, ფრინველთ გალობას, ნიავისა იდუმალად სისინს.

მთელი ქვეყანა მას სამოთხედ წინ დაესახა და შიგ ადამად წარმოუდგა თავისი თავი: მხოლოდ სიმღერა, მხოლოდ შვება და ნეტარება, თავის სატრფოს მკერდზე მოსვენება და თაყვანება,

მზის სინათლეში თითქოს ჩაჰქრა ქვეყნის სიბნელედ ტრფობის გრძნობაში ჩაიდუპა მტრობა და შური; კვნესა ქვეყნისა აღარ სჩანდა ფრინველთ ჭიკჭიკში, თითქოს ცად იქცა განწირულად შთენილი მიწა.

უკანასკნელად ერთხელ კიდევ თითქოს გონს მოვა, მედიდურობით, ღვთიურ ძალით გამხნევებული ფეხზედ დადგება, რომ გონების იდუმალ ძალას პირდაპირ შეხვდეს ვით ნამდვილი ადამიანი.

**ლანდია.** ვის ვუთხრა მშვიდობით! ვის ვუთხრა სალამი!.. კვდები თუ ვიშობი? ეს შენ უწყი ყოვლად შემძლეო!.. ჩემ უკვდავ იმედს შენ მოგანდობ, მარადისობავ!

დაეცემა უსულოდ...

მოკვდა და გაჰქრა, თუ იშობა იგი ახლად?

ეს იცის ერთმა, მხოლოდ ერთმა მარადისობამ...

ბ ო ლ ო

**ლევ. მეტრეველი.**



**სპარსეთის ლომი.** (Simplicissimus-დან).

რედაქტორ-გამომცემელი **ი. სონღულაშვილი.** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3